კვირა, 28 მაისი 1917 წ.

რედაქციის ადრესი:
თფილისი, ოლღას ქუჩა, № 6.

ფასი 20 კაპ.

ეშმაკის მათრახი

№ 22

1917

წინეთ და ახლა.

განა დიდი ხანია მას შემდეგ, როცა საბრალო მუშა რკალივით იგრიხებოდა თავისი „საყვარელი“ და „კეთილისმყოფელი“ ალის წინაშე, რათა მისი დახმარებით ნახევრათ მშიერი არსებობა თვისი უზრუნველეყო?..

ახლა კი რას ვხედავთ?..

პატარა ფელეტონი

ვინ ამღვრევს წყალს?

მას შემდეგ, რაც ძველი წესწყობილება დაემხო, თფილის ქალაქი „სიეზდების“ ასპარეზათ გადაიქცა.

არავის ამის საწინააღმდეგო არაფერი აქვს და მით უმეტეს თვით „სიეზდის“ წევრებს.

ამ „სიეზდთა“ შორის ჩემი განსაკუთრებული ყურადღება და სიყვარული მხოლოდ ორმა: სამხედრო და საგლეხო სიეზდებმა დაიმსახურა.

ჩემდა სამწუხაროთ უნდა აღვნიშნო, რომ თუ ქალაქში გავრცელებულ ჭორებს დავუჯერებთ, სამხედრო სიეზდი ამ ზაფხულში თითქის მოათავებს საჭირო კითხვების გარკვევას, შემოდგომაზე არჩევნებს მოახდენს და ჩაზამთრებისას ფრონტს დაუბრუნდებაო. ყოველი შეყვარებული ოპტიმისტია და მეც არა მჯერა ამ ხმების სიმართლე. ჩემის აზრით საყვარელი სიეზდი ზამთარს მაინც გაატარებს აქ, თუმცა მოსალოდნელია მომავალი გაზაფხულიც ჩვენ გვაჩუქოს*)

გლეხთა სიეზდი ჯერ-ჯერობით ახალი ხილია და არა მაქვს არავითარი საბუთი მის შესახებ გადაჭრით რაიმე ვსთქვა. შემიძლია აღვიარო მხოლოდ ერთი:

ყანებში დაბრუნება უფრო ადვილი და სასიამოვნოა, ვიდრე სანგრებში.

მაგრამ დროა საგანს დავუბრუნდეთ. ჩემს მიზანს სრულიადაც არ შეადგენს სიეზდების „ხარაკტერისტიკა“. მე მსურს მხოლოდ მცირეოდენი განმარტება შევიტანო ორივე სიეზდზე ჩემ მიერ შენიშნულ გაუგებრობაში. ორივე სიეზდზე წარმოითქვა ფრაზა:

„ძველი მთავრობა ვერაგულათ ამღვრევდა წყალს და ცდილობდა მღვრიე წყალში თევზები დაეჭირა“.

ამხანაგო გლეხებო და ამხანაგო ჯარისკაცნო! მე არა ვარ ძველი მთავრობის დამცველი, მე არა მსურს მათი ბატონობის აღდგენა, მაგრამ მომეცით ნება აღვადგინო მხოლოდ ჭეშმარიტება, ის ჭეშმარიტება, რომლისთვისაც თქვენ ყველანი ასეთი თავგამოდებით იბრძვით ქ. თფილისში.

ამხანაგებო! მართალია ბევრი უსამართლობა, ბევრი ბოროტ-მოქმედება მიუძღვის ძველ მთავრობას, მაგრამ რაღა საჭიროა მას ზედმეტი უმსგავსოება მივაწეროთ. მართალია საღმრთო წერილი ამბობს: „ვისაცა აქვნდეს მიეცეს და მიემატოსო“, მაგრამ ეგ სიმდიდრის შესახებ არის ნათქვამი და არა დანაშაულობათა.

ამხანაგებო! მე დანამდვილებით ვიცი, (და შემიძლია ყოველთვის და ყოველგან დავამტკიცო ჩემი ნათქვამი), ვიცი ვინც მართლა ამღვრევს წყალს. ამის შესახებ დიდი ხნის დაკვირვებაცა მაქვს და მრავალი მოწმის მოყვანაც შემიძლია. მე მაბრკოლებს მხოლოდ ერთი გარემოება:

„ჩემის თვალით არ მინახავს იჭერდენ თუ არა თევზებს ამ მღვრიე წყალში ბოროტმომქმედნი“.

თუ ეს უკანასკნელი გარემოება დიდს დანაკლისს არ შეადგენს, მაშინ ნება მიბოძეთ დავასახელო თქვენს წინაშე თუ ვინ არის ასე ვერაგულათ რომ ამღვრევს წყალს.

ამხანაგებო!

წყალს ამღვრევს მხოლოდ და მხოლოდ თფილისის ქალაქის გამგეობა.

ეს ისე აშკარა და ნათელია, როგორც დღე. ვერსად სხვა ქალაქში თქვენ ისეთ მღვრიე წყალს ვერ ნახავთ, როგორც თფილისში და ვინაიდან ამ მღვრიე წყალში მე ჯერ-ჯერობით ერთი თევზიც არ შემხვედრია, ცხადია, თევზებს იჭერენ ქალაქის მამები და ამ საქმის ხელმძღვანელნი.

მაშ დროა ბოლო მოეღოს ამ უსაფუძვლო ბრალდებას შესახებ ძველი მთავრობისა და დამნაშავის სკამზე დასმულ იქმნას ჭეშმარიტი წყლის მმღვრეველი—თფილისის ქალაქის გამგეობა.

მორიელი.

---

*) ეს წერილი დაწერილი, დაბეჭდილი და წაკითხული იყო, როცა შევიტყვეთ თავზარ დ მცემი ამბავი სამხედრო „სიეზდის“ გათავებისა. ამგვარათ ჩვენი იმედები აღარ გამართლდა. მაგრამ ჩვენ ჩვენს იმედებს სალდათებზე არასოდეს არ ვამყარებდით ხოლო რაც შეეხება გლეხთა „სიეზდის“ საიმედო ნიშნებს იძლევა თფილისში დაზამთრებისას.

სანაძლეო ცხენმაგვარიძეთა*) შესახებ

წინასიტყვაობა

თუ მეხსიერება არა მღალატობს, ეს ამბავი მე წინეთაც დამიწერია. ერთ-ერთ ადესელ რუსულ გაზეთში ასეთი განცხადება დაიბეჭდა:

„ვყიდი კვერცხებს, რომლისგანაც გამოიჩეკება ქათმები წონით არა ნაკლებ სამი ფუთისა. გთხოვთ მიმართოთ ამ ადრესზეო“.

და ნაჩვენები იყო ადრესიც ქალ. ადესაში.

ერთმა ოზურგეთელმა ვექილმა მყისვე გააგზავნა ხვედრი ფული და გამოიწერა საკვირველი კვერცხები.

რამოდენიმე ხნის შემდეგ ოზურგეთელ ვექილს ფული უკანვე დაუბრუნეს, მაგრამ ფულს თან ასეთი თავაზიანი წერილიც მოჰყვა:

„მოწყალეო ხელმწიფევ! თქვენ მიერ გამოგზავნილ ფულს უკანვე გიბრუნებთ უდიდესი მადლობითა და სიყვარულით. თუ არ თქვენ, მე იძულებული ვიქნებოდი დიდძალი ჯარიმა გადამეხადა. საქმე შემდეგშია: მე სანაძლეო დავსდე ჩემს მეგობართან შესახებ სან ფუთიანი ქათმისა. ის ამბობდა: „რუსეთში არ იქნება ისეთი სულელი, რომელიც დაიჯერებს ამგვარ განცხადებასაო“. მე კი ვამტკიცებდი: „ერთი ვინმე ასეთი მაინც გამოერევა მეთქი და როგორც ხედავთ მართალიც გამოვედი“.

მკითხველმა გამოიცნოს რა გუნებაზე დადგებოდა ის ერთათ ერთი ოზურგეთელი ვექილი ამ თავაზიანი წერილის შემდეგ.

მე და ჩემ საყვარელ მეგობარ იუმორისტ თაგუნას ხშირად გვქონია კამათი... ცხენმაგვარიძეთა შესახებ. დიახ, ცხენმაგვარიძეების შესახებ მკითხველთა შორის. ჩვენ გვაინტერესებდა უმთავრესათ მათი რაოდენობა. მართალია არსებობს სტატისტიკა ცხენების შესახებ, მაგრამ ის შეეხება სრულიად უდანაშაულო, წერაკითხვის არ მცოდნე და ოთხფეხ ცხოველთ, რომელთა წინაშე მე მოკრძალებით ბოდიშს ვიხდი ცხენმაგვარიძეების მათთან შედარებისათვის.

ამხანაგი თაგუნა ყოველთვის პესიმისტი იყო აღნიშნულ დარგის მკითხველთა შესახებ, მე კი მუდამ ოპტიმისტი. ის ყოველთვის გულგატეხილი იყო და ამბობდა: ქართულ მწერლობას არა ჰყავს ცხენმაგვარიძენი მკითხველთა შორის, არა ჰყავს ისეთი პირი, რომელიც ვერ გაიგებდეს კარგ იუმორისტულ წერილსო“. მე კი დაჟინებით ვამბობდი: „მეგობარო, არ ვარგა ყველაფერზე გულის გატეხა. შეიძლება ბევრ რამეში იყოს ჩამორჩენილი ჩვენი ხალხი, მაგრამ ამ მხრივ მაინც პესიმიზმს ადგილი არ უნდა ჰქონდეს: ჩვენ საჭიროზე მეტი გვყავს ცხენმაგვარიძეთა დარგის მკითხველნი. სავალალო ამ შემთხვევაში მხოლოდ ის არის, რომ მათი დიდი უმეტესობა ჩვენს მსოფლმხედველობას არ იზიარებს და სხვა პარტიებს ეკუთვნიან, მაგრამ ამით ეროვნული ინტერესები არაფერს ჰკარგვენ მეთქი“.

იმან თავისი დაჟინა, მე კიდევ ჩემი და ჩვენც დავდეთ სანაძლეო **ცხენმაგვარიძეთა** შესახებ.

ამ მიზნით ამხანაგმა თაგუნამ დასწერა მშვენიერი პატარა ფელეტონი, სახელწოდებით „**ნოე ჟორდანია**“ და მოათავსა გაზეთ „ალიონში“.

როდესაც მე აღნიშნული ფელეტონი წავიკითხე, გულში უნებლიეთი შური დამებადა. და ვიფიქრე: „ახ ნეტავი მე დამეწერა მეთქი“. მაგრამ შურის გრძნობა მყისვე ჩაჩრდილა ჩემმა უზომო სიხარულმა, ვინაიდან ფელეტონის წაკითხვისთანავე დავრწმუნდი, რომ სანაძლეოს უთუოდ მოვიგებდი, რომ ჩემი სტატისტიკა ცხენმაგვარიძეთა არსებობის შესახებ ბრწყინვალეთ გამართლდებოდა.

სინამდვილემ ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა და ამხანაგ თაგუნას პესიმიზმს სასიკეთილო მახვილი ჩაეცა. მიუხედავათ ასეთი ბრწყინვალე გამარჯვებისა, მე მაინც დამშვიდებით შევხვდი ფაქტს, ვინაიდან დარწმუნებული ვიყავი, გავიმარჯვებდი.

ცხენმაგვარიძენი მრავლად აღმოჩნდენ არა თუ მივარდნილ პროვინციებში, საიდანაც მე სამართლიანად მოველოდი მათ გამოხმაურებას, არამედ

---

*) ძველათ, როცა რომელიმე მოხელის გულის მოკება უნდოდათ, მის ტიტულს ყოველთვის გადააჭარბებდენ ხოლმე. თუ ის უბრალო „კეთილშობილება“ იყო მ ს „მაღალ კეთილშობილებას“ დაუწერდენ, თუ „აღმატებულება“ იყო მას „მაღალ აღმატებულებ ს“ და სხ. ჩვენც ზემოაღნიშნული სიტყვა „ცხენმაგვარიძე“ ორი საფეხურით ავსწიეთ უფრო დაბალი კატეგორიიდან.

აქ, საქართველოს დედა ქალაქ თფილისში და თფილისშიც არა რომელიმე მოძულებულ უბნებში, არამედ პირდაპირ ცენტრში და წარმოიდგინეთ ცენტრის გულში რედაქციებშიც.

გნებავთ საბუთები? ინებეთ.

აი რასა სწერს თფილისში კარგათ ცნობილი, „სოციალისტ-რევოლიუციონერთა“ ორგანო გაზ. „კავკაზსკოე სლოვო“ 24 მაისის ნომერში.

„ალიონი ნოე ჟორდანიას შესახებ.

„ვიღაც თაგუნა გაზეთ „ალიონში“ **სასაცილოდ იგდებს** სოციალ დემოკრატიულ პარტიის ლიდერს ნოე ჟორდანიას და სწერს:

„1905 წ. ნოე ჟორდანიამ განიზრახა რუსეთის მეფის, ნიკოლოზ II-ის, ტახტიდან ჩამოგდება, რათა თითონ გამეფებულიყო, მაგრამ ველარ მოახერხა და 1917 წლისთვის გადასდო.

დანიშნული ვადა რომ მოახლოვდა, გაგზავნა პეტროგრადს თვისი მეგობარი კარლო ჩხეიძე, ჩამოაგდებინა ნიკოლოზ მეორე და საქართველოში თვითმპყრობლათ თავისი თავი გამოაცხადა, ხოლო—რუსეთი კ. ჩხეიძეს დაუთმო.

ჩაიგდო თუ არა ხელში საქართველო, მაშინვე გადასწყვიტა მისი გაყიდვა და მოლაპარაკება გამართა ქართველი ერის ისტორიულ მტერთან, სომხებთან.

სომხებმა ჩააბარეს ნ. ჟორდანიას ბე, 50 მილიონი მანეთი, მაგრამ ამას თვალი შეასწრეს გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციის წევრებმა ექ. ვას. წერეთელმა და ტ. მარგველაშვილმა და საქვეყნოთ ამხილეს ჟორდანია.“

ასე გაიგეს სიტყვის თავისუფლება*) „ალიონის“ ჟურნალისტებმა. რევოლიუციის მოხდენამდე რადიკალური და მემარცხენე ჟურნალ გაზეთები ქართველ-სომეხთა საკითხის გამწვავებას ძველ მთავრობას აბრალებდენ.

ახლა კი, ამ თავისუფლების ხანაში ვისთვის არის საჭირო ნაციონალური ანტოგონიზმი და ასეთი „ალიონისებური“ **პასკვილები**?

ნუ თუ არა სცხვენიათ?!

(Кавказское Слово № 112).

*) ასე გაიგეს იუმორისტული სიტყვის **დანიშნულება** Кавказское Слово-ს რედაქციაში აღმ-ჩნილმა ცხენმაგვარიძეებმა.

როდესაც ამ სეშანიშნავ ცხენმაგვარიძულ შენიშვნას ვკითხულობდი ჩემს აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. განა შეიძლება ამაზე უკეთესი საბუთი თვით უდიდეს რედაქციაში ცხენმაგვარიძეთა არსებობისა? მე ვიცი ამხანაგი თაგუნა ასე ადვილათ არ დასთმობს თავისს პესიმისტურ პოზიციას და მეტყვის:

— ვერ მოგართვეს ამხანაგო, „კავკაზსკოე სლოვო“ ეს რუსული რედაქციაა და მე კი ქართველთა შორის არსებულ ცხენმაგვარიძეთა შესახებ დავსდე შენთან სანაძლეოო.

მისთვის ყოველივე ცდა ამაოა. თუ საჭიროება მოითხოვს მე იმასაც დავამტკიცებ, რომ ზემო დასახელებული შენიშვნა „კავკ. სლოვო“-სი სწორეთ რომელიმე ქართველი ცხენმაგვარიძის კალამის ნაყოფი იქნება. სხვაფრივ წარმოდგენაც არ შეიძლება.

მე სხვა მაგალითებს აღარ მოვიყვან. რამდენიმე ამგვარი თვით ამ. თაგუნასაც მოჰყავს ალიონის მორიგ ფელეტონში. ამგვარათ ჩვენი სანაძლეო გადაჭრილათ უნდა ჩაითვალოს. ის მე მოვიგე. უტყუარათ დამტკიცდა, რომ ქართველ ერს ბლომათა ჰყავს ცხენმაგვარიძე მკითხველები, როგორც პროვინციაში, აგრეთვე სატახტო ქალაქში. მე თითონაც არ მოველოდი ჩემი შეხედულობის ამგვარ გამარჯვებას და თუ ამხანაგი თაგუნა საკითხს ისევ სადაოთ ჩასთვლის, ეგ მისი ნებაა. აშკარაა მხოლოდ ეს:—ცხენმაგვარიძე მკითხველები ჩვენ მრავლად მოგვეპოვებიან, მაგრამ მათ შორის პრიზი გაზეთ. „კავკაზსკოე სლოვოს“ რედაქციას ეკუთვნის.

ეშმაკი.

ცნობა

ფოთის კომისარ „გუტუნა“-საგან.

რაპორტი.

1.

ჯოჯოხეთს ჰქონდა, თურმე, ყრილობა.
მივიღე მუნით მოწერილობა.
შეუდგენიათ მათ კომიტეტი,
(მილიციასაც ხელში აქვს კეტი).

მე უტუ-გრადის კომისარობა
მარგეს, არც მეთქმის მის უარობა.
შეუდექ ფიცხლავ მოვალეობას:
ვიჩენ სიმტკიცეს, სიბრძნეს, მხნეობას.
ძველი მთავრობა მოვსპეთ ქალაქში,
ახალი ჩავსვით ჩვენ მათ ალაგში.
დანარჩენ მავნე საეკვო პირებს,
(თუმც საიდუმლოთ აქ განახშირებს),
გადავუწყვიტეთ დატუსაღება,
(ზოგს არც კი სურდათ კარის გაღება)
ტყვეობას რაკი ერიდებოდენ,
ზოგიც „ყუდეშას“ აღარ გვხვდებოდენ;
ზოგს ისე შურდა წამობრძანება,
რომ სიცოცხლესაც თავი ანება,
(თავში უნდოდა, დაიჭრა ფეხი,
დიდი ხნით ადრე ის მოსატეხი).
ციხეში მათთვის გვეძლია პური,
ძნელი შეიქნა ეგ სამსახური,
და როს დაგვიდგა პურის ძვირობა,
დავადებინეთ ჩვენ სხვა პირობა:
მუნით უყავით მათ ექსორია,
(ჩვენი ტაქტიკა ერთობ სწორია).
რა საჭიროა ტყვეობა მათი,
რა საჭიროა ვკვებოთ ჯალათი?
ამას ითხოვდა გონება საღი,
დავასვით ყველას ნიშანი-დაღი,
რომ ცნობა მათი ადვილი გახდეს
და ბნელი საქმეც იმათი წახდეს.

—

არჩევნების გამო

2.

,,ფოთის ქალაქის კომისრად
არჩეულ იქმნა ,,ბუტუნა'',
თუმცა მან საჯოჯოხეთოს
ბოლო დროს ცოტა უმტუნა''.

„ეშ. მ. თრახი“ № 17

—

აი ბრალდება თუ გნებავთ
მძიმე და შეუფერები...
ქაჯთა მთავრობის შეცდომაც...
(პირში არ მოვეფერები).
არა თუ რამე „სიმტყუნე“
პირიქით „ნამსახურები“!!!
მიტინგებს, კრებებს, კომიტეტს,
გამოვუქედე ყურები.
ევროპის ჯანდარმს წესს ვუგებ
ვუგალობ „სულთა თანასა“
კაიზერს გავალესვინებ,
თავის დასიკლავ დანასა.
იუნკრებს დავუძმობილებ,
გერმანელ პროლეტარებსა,
რითაც შევანგრევ კრუპპის და
მილიტარიზმის კარებსა.
მეფე, კანცლერი, კრონპრინცი
დარჩეს უჯაროთ ეული,
ჩასხდენ ლიბკნეხტის ადგილას
ხალხისგან გმობილ წყეული.
მაშინ გავმართოთ ყრილობა
სრულ საპატიო ზავზედა,
ცოდვები ომის ამტეხმა
მიიღოს თავის თავზედა.
მანამ ხმელეთზე, ჰაერში,
ზღვაში, ქვესკნელშიც ომია
ჯოჯოხეთს ჩემგან სხვა კიდევ
ვერ მიხვდი რაღა სდომია?

—

ქურუმთ-ყრილობა.

3.

მთავრობა მოკვდა, გაიხრწნა ლეში,
(თუმც მკვდარი იყო ის სიცოცხლეში)
მარა როდესაც სიკვდილის ცელმა
მხერებს და თავს შუა მას გაუელვა,
დაზვავდა მძოვრის კალო და ხვავი
რომელსაც დასდევს ყორანი-ყვავი,
ამ სიბინძურეს ხალხი მარხავდა,
და მესაფლავეს ტოლი არ ჰყავდა,
მარა სიდიდე მიცვალებულის
(ტრფობის საგანი ქურუმთ კრებულის)
ახდენდა უცხო სანახაობას
აღლუმიც ჰქონდათ ყორან-ყვაობას
მკვდრის დამარხვასაც აღარ უცდიდენ
ლეშს ნისკარტებით ძვალზე აცლიდენ.
იყო ყვირილი, ჩხავილი, ფრენა,
აღარსად იყო მუნ ყურთა სმენა.
ამ შავ „ფრთოსანთა“ ურიცხვი გუნდი
(სიკვდილს რომ გალობს სიცოცხლის ხუნდი)

ახლახან ფოთსაც კი მოევლინა,
ჩხავილი თვისი მუნ აღავლინა.
(მე მათი ჯარი ასეთი დიდი,
ყუთს რომ იდგამდა აქ ლეონიდი
ეგ საარჩევნო გზაი და ხიდი
ერთი ცნობილი მიმართულების
ალაგი უყვარო, იმათ ფულების*)
ცალფეხ ა კაცმა რომ დაამარცხა
ეფისკოპოზი ძირს დაანარცხა.
თუმცაღა მაშინ ხუცების ჯარი
მოაწყდა ქალაქს ვით ნიაღვარი,
მარა დღეს იყო იმაზე მეტი
(ლეგიონია ეს გასაწყვეტი).
საშიში იყო დასანახავად
(ქუჩები სჩანდა ყოველგან შავათ)
მნახველს უთუოდ დააღონებდა
და „სულის ახსნას“ მოაგონებდა.
ჩამოფართხალდენ ბუს სასახლეში
იქ იდვა ალბათ მთავარი ლეში,
ომი მოუხდათ ყორნებს—და ყვავებს
გულით და ფერით ბოროტს და შავებს
ყორნებმა უთხრეს „თქვენ ყვანჩალაო
ჩვენ უფროსი გვაქვს ხმა და ძალაო“
პასუხი გასცეს ყორან მამებსო:
„დღემდის ჩვენ თქვენგან განაწამებსო
აწე უფლება გვაქვს ერთგვარიო
და ძალაც კიდევ თანაბარიო“
მწყობრად იბრძოლა ორთავე მხარე
თავთავის სურდათ მათ თავმჯდომარე.
დათვალეს ხმები, გამოდგა სწორად
ხმები გაიყო თანასწორ ორად.
ასტყდა კამათი, ლანძღვა-გინება,
ბუმაც დაჭარგა აქ მოთმინება,
და ყორან-ყვავებს გამოუცხადა
დაუდვა იმათ რა მოკლე ვადა:
ქორი დაისვით თავმჯდომარეთო,
თორემ მიბრძანდით ყველამ გარეთო.
დღე მოანდომეს ამ საქმეს ორი
და თავმჯდომარეთ დასვეს ქორი.
რაც მოხდებოდა შემდგომ ამისა,
კრება მძებნელი სმა და ჭამისა,
რას გადასწყვეტდა ჩემთვის ცხადია,
მკითხველმა ახსნას როგორც სწადია.

*) ვიხუმრე, თორემ ლმერთი და რჯული
არც მე მძულს იგი ოხერი ფული.

ეშმაკი პროვინციაში.

ჩემმა მოგზაურობამ ეპიდემიური, ანუ უკეთ ვსთქვათ რეგულიარული სახე მიიღო.

აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთი მოსდევს ერთზომ მშვენიერი, უხვი და სტუმართ მოყვარე.

„აღმოსავლეთი იქ არის
მზე რომ ამოდის დილ-დილას,
საღამოს ჩაესვენება
ის დასავლეთის მხარესა.
იქაა ჩემი სამშობლო
ქიზიყი, თუშეთ-ფშავეთი...
აქაც სამშობლო მხარეა
უნდა გვიყვარდეს კოლხიდა“.

ეს მარგალიტი უკვდავი სოლომონ ზურგიელიძის პოეზიისა ხორცს ისხამს და მთელის თავისი სიმშვენე-სიდიადით სდგება თქვენს წინაშე როცა საქართველოს არე-მარეს გადაჰხედავთ. ჭეშმარიტათ იშვიათია ისეთი სისწორე, სიმარტივე და სიმშვენიერე აზრისა, როგორითაც ბუნებას განსვენებული მგოსანი დაუჯილდოებია. მართლაც შეხედავთ და ჩვენი სამშობლოს ერთი მხრიდან ამოდის მზე, მეორე მხარეს ჩადის, ისეთი სისწორითა და თანდათანობით, თითქო ეშინია არ გადასცდეს სოლომონის მიერ ზემოაღნიშნულ ლექსში გამოთქმულ აზრსაო.

ძლიერია სიყვარული სამშობლოსადმი, რომელსაც უსიტყვოთ, მარად განუყრელათ გულში ატარებ, მაგრამ ასწილ უფრო ძლიერია იგი, როცა ამ სიყვარულს საჯაროთ აფენ, ლამაზ ფორმებში ასხამ და საქვეყნოთ გაჰკივი. ასეთი იყო ძველათ სოლომონი და ამავე გზას დაადგა დღეს ჩვენი საყვარელი მგოსანი გ. ქუჩიშვილი.

მას შემდეგ, რაც მოვინახულე ქიზიყი, კახეთი და იორის ველი, პირი ვიბრუნე დასავლეთისაკენ, რათა ადგილობრივ გამერკვია ამ კუთხის ავკარგი და ამეწონ-დამეწონა ჯოჯოხეთის კომისართა საქმიანობა.

პირველი ჩემი ეშმაკობა.

ვის არ მოეხსენება, თუ რა ძნელია თფილისის სადგურზე ჯიბით ფულის გაპარება. ამხანაგ ჯიბგირთა აღმასრულებელ კომიტეტს მრავალი გამოცდი-

ლი კომისარი ჰყავს ჩაყენებული სადგურის უმთავრეს პუნქტებში. რადგანაც თითოეული მათგანი განსაკუთრებულ როლს თამაშობს პარტიაში, ამიტომ ფორმაც სხვა და სხვა გვარი აქვთ მიკუთვნებული, ვის სამხედრო, ვის სასულიერო, ვის რკინის გზის მოსამსახურეთა და ვის კიდევ სამოქალაქო. მძიმეა მათი მოღვაწეობა, ვინაიდან მუდამ იქ უხდებათ დგომა, სადაც აუტანელი ჭყლეტა და აყალმაყალი სუფევს, მაგრამ მიუხედავათ ამისა თითოეული მათგანი პირნათლად ასრულებს თავისს წმინდა (უნდა ვიგულისხმოთ უმთავრესათ ჯიბეების წმენდა) მოვალეობას და ამ მხრივ ჯეშმარიტათ მიბაძვის ღირსნი არიან ქალაქის მილიციონერთა მხრით.

ვაჟკაცი ხარ და სადგურის სამხრეთ კარებიდან ბაქანამდე მათ შორსმჭვრეტელ თვალებს დაემალები და თუნდაც ორიოდ გროშს გააპარებ ქალაქიდან პროვინციისაკენ. მაგრამ თუ აქ იშვიათ შემთხვევაში შესაძლებელია მათი სიფხიზლის ყინულზე გაცურება, სამაგიეროთ ყოვლად შეუძლებელია პროვინციიდან ქალაქში ფარულად ფულის შემოტანა. აქ ამხ. ჯიბგირთა კომისარები პირდაპირ სასწაულთმოქმედებას იჩენენ. ქალაქისა და რკინის გზის მილიცია ამაოდ ცდილობს მათ მიმბაძველობას. ამ შემთხვევაში პირველ როლს საქმის სიყვარული თამაშობს. მილიციას არასოდეს არ შეუძლია თავისი სამსახურისადმი იმდენი სიყვარული და გულმოდგინება გამოიჩინოს, რამდენსაც ჯიბგირთა კომისარები იჩენენ.

მე მზათა მაქვს სამიოდ პროექტი ზემოაღნიშნულ მძიმე საკითხის მაგრამ ამის შესახებ უმჯობესად ვსთვლი ცალკე მოხსენება უძღვნა პატივცემულ უფროსს ქალაქის მილიციისას. დღეს დღეობით კი, მკითხველთა და თანამოაზრეთ მსურს განუმარტო ის ხერხი, რომლის მეოხებით მე გავაპარე ქალაქიდან 28 მანეთი ქაღალდის ფული.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ ამ საგანზე მე წინასწარ ვიფიქრე. სამი დღის შრომამ მუქთად ჩამიარა, მაგრამ მეოთხე დღეს ერთმა გენიალურმა აზრმა გააშუქა ჩემი მოქანცული გონება. მყისვე გადავთვალე ფულები, თუმანი განზე გადავდე, თუმანი გზის ფულად მოვიტოვე, ხოლო დანარჩენი 28 მანეთი თეთრის ძაფით დავაკერე პერანგის ამხანაგს მარცხენა ტოტზე, დაახლოებით კოჭის რაიონში. შემდეგ ჩავიცვი წინდა და სახლარეთით მაგრა გადავიკარი მუხლის ქვემორე. წინდაზე დავიხვიე გრძელი ტილოს პირსახოცი, დავიბნიე ინგლისური ქინძისთავებით ხუთმეტიოდ ალაგას და გადავიცვი ზემოდან შარვალი.

მაგრამ მარტო ამის ამარა მხოლოდ რეგვენი გაბედავს თფილისის სადგურზე ფულის გატანას. საჭირო იყო ახალი სხვა რამ საშუალება, რომელსაც შეხვეული ფეხისაგან ყოველივე ეშვი აეცილება და ჯიბგირ-კომისართა ყურადღება სხვამხრივ მიეპყრო. განსაცდელიდან აქაც ჩემმა გონებამახვილობამ მიხსნა. დავკეცე და თუმნიანების ზომაზე დავჭერ 18 ცალი გაზეთი „კავკაზსკოე სლოვო“, თვალის მოსატყუებლათ გარედან ერთი ნამდვილი თუმნიანი შემოვახვიე და არხეინად ჩავიდე გულის ჯიბეში, როგორც ეს იციან დარდიმანდმა და მილიციის იმედით შეპყრობილმა ვაჟბატონებმა. ჩემი გულის ჯიბე ისე გამოიბერა, როგორც ხელოვნური მკერდი მანდილოსანთა. ჩემს ეშმაკობას ბოლო არც ამით მოელო. სადგურის კარებში შესვლისთანავე დამფრთხალ მოქალაქესავით ვიტაცე ჯიბეზე ხელი, ამოვიღე დასტა, დავხედე და დამშვიდებულათ ჩავიდე ისევ ჯიბეში.

კომისარ-ჯიბგირმა მყისვე შენიშნა ჩემი შეწუხებაცა და დამშვიდებაც. მაგრამ არც მე დამრჩენია შეუნიშნავი იმისი აღელვება და ნასახი სიამოვნების ღიმილისა. იმან მყისვე მოიხადა კაკარდიანი ქუდი, ჭრელი ცხვირსახოცით შუბლი მოიმშრალა და ამით ნიშანი მისცა ამხანაგებს. ბაქანზე გასასვლელ კარებში აუწერელი ჭყლეტა შეიქნა. ხალხთა შორის მეც ოფლში ვიწურებოდი, სულიც ამომხდენოდა არ წავიქცეოდი. ბაქანზე მშვიდობიანათ გავედი. აშკარათ ვგრძნობდი, რომ ჩემს გვერდით მეტი თუ არა ხუთიოდ კომისარ-ჯიბგირი ფუსფუსებდა. ორი მათგანი წინ მიმიძღოდა, ხოლო დანარჩენები მხრებს მიმაგრებდენ და ზურგის მხრიდან მზვერავდენ. ვაგონში შესვლის დროს კრიზისის ხანა დადგა. აშკარათ ვიგრძენ გულის ჯიბეში სიფრთხილით ჩაცურებული ხელის ფათური. სქლად შეკრული ქაღალდი ქურდულათ ამოცურდა და ხელთან ერთად სადღაც მიიმალა.

მე მყისვე ყვირილი ავტეხე. თქვენ ადვილათ მიხვდებით ჩემი ყვირილის მიზეზს. რასაკვირველია ამ მოულოდნელი ხმაურობით მე მინდოდა კომისარების დაფრთხობა და სამშვიდობოში გასვლა. ეს

ფინეთი და ახლა.

ჯერ კიდევ-გუშინ ჯარის კაცი მხოლოდ ცოცხალი, მაგრამ უენო იარაღი იყო მთავრობის ხელში. მას დასცინოდენ, აბუჩათ იგდებდენ. ის იყო მზარეული, მეეტლე, ძიძა და მრეცხავი თავისი უფროსისა...

ახლა კი...

წინეთ და ახლა.

წინეთ ხელთა აღმზრდელთა „ლმობიერ“ მუხრუჭში ვოსწავლე თავს ისე „თავისუფლად“ გრძნობდა, ვითარცა ბულბული კატის კლანჭებში. საითაც სურდათ იქით აბამდენ ყურსა, როგორაც მექოთნე ქოთანსა და ზრდიდენ მათგან მონათა ძველ რეჟიმისათა...

ახლა...

ასეც მოხდა. რამოდენიმე კაცი მყისვე გაძვრა-გამოძვრა და მეც თავისუფლად ამოვისუნთქე.

ნახევარი საათის შემდეგ, როცა არხეინად ვაგონის კუთხეში მიჯყლეტილი ვიჯექი, სიამოვნებით ვიცინოდი. ჩემს თვალწინ იდგა მთელი მიტინგი ჯიბგირ-კომისარებისა. აი მათ მოემატა კიდევ ხუთი და ერთმა მათგანმა გახსნა ერთგულად შეხვეული სქელი ქაღალდის კონა. ყველა აღტაცებით უყურებს. აი გამოანათა ახალმა, გატკეცილმა თუმნიანმა. აღტაცება გაიზარდა. მაგრამ... გადაიფურცლა ერთი და კომისართა თვალს გულსაკლავი სურათი გადაეშალა. ნაცვლად თუმნიანებისა, მხოლოდ ნაგლეჯი ქაღალდი და ისიც ნაგლეჯი „კავკაზსკოე სლოვოსი“!

დიახ! მე ვიცინი აქ, მაგრამ აი რა ტრაღიკულ მდგომარეობაში არიან ჩემ მიერ მოტყუებული ჯიბგირები. უბედურებმა რა იცოდენ, თუ მთავარი თანხა ფეხზე მქონდა მიკრული! თუ არა ვცდები, თავისუფლებისა და მილიციის დამყარების შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა თფილისის სადგურზე ფულის გატანისა. მე ამით რასაკვირველია არა მსურს თავი მოვიწონო, ან ვისიმე ყურადღება დავიმსახურო, არამედ მინდა მივუთითო მოგზაურთ იმ პატარა საშუალებაზე, რომლითაც მათ შეუძლიათ ასე თუ ისე ორიოდ გროში გააძვრინონ კოტრაბანდათ თფილისის სადგურზე. თფილისის მილიციის უფროსსაც შეუძლია ეს, ჩემ მიერ გამოგონილი ხერხი, განცხადების სახით ქუჩებში გააკრას და მით მოგზაურთა კეთილ დღეობას ხელი შეუწყოს.

ყოველივე ეს, რის შესახებაც მე აქა ვსწერ, ღამით მოხდა. მეორე დღე უკვე დასავლეთ საქართველოში გამითენდა. მაგრამ ამის შესახებ შემდეგ.

(შემდეგი იქნება)

ეშმაკი.

კრეგაზე

ვიყავ კრებაზე
და ამ თემაზე
მინდა დავსწერო ორიოდ სიტყვა;
თითთა წევაზე,
წევრთა ქცევაზე,
ან, რაც იქ მოხდა და რაც-რამ ითქვა.

მოგეხსენებათ
და გეცნობებათ,
რომ დღეს ვაჭრებიც „სოციალისტობს“,
„წესზე“ ვაჭრობით
(ნარდათ, ნაჭრობით)
ჰყიდიან ნივთებს, არვინ თაღლითობს!
მართავენ კრებებს
ჰკრავენ კავშირებს —
მათაც სურთ ქონდეთ ერთობა მტკიცე,
რომ მათ მყიდველებს
(ვინც უთბობს ხელებს)
აღარ ევაჭრონ — რაცა სთქვან, მისცე!..
კიდევ, თვის ნოქრებს,
დღეს შენატოკებს
რომ დაუდუმონ ენა და პირი,
იმათ მოთხოვნებს
(ძველ დანაყოვნებს)
საერთო ძალით ადინონ ბდღვირი;
— აი, რას ეტრფის
რისთვის ქშენს, იბრძვის
თავ-გამოდებით ჩვენი ვაჭრები,
ოფლათ დნებიან,
დროსა ჰყვებიან
და იმართება მათი კრებები...
ჰო-და, ერთ ასეთს
(ოჰ, დიდება ღმერთს!)
ვაჭრების კრებას მეც დავესწარი,
და ვუმადლი ბედს
ჩემსა შემოქმედს
რომ მუნით ცოცხლად გამოვასწარი!..
შეიქნა შფოთი
ალიაქოთი
აბრახუნებდენ დანჭრეულ სკამებს,
თვით თავმჯდომარე
(ფეხზე მდგომარე)
გაჰკივის, მაგრამ ვერვის აჩუმებს.
ზოგი წევრები
„საქმის“ მცველები,
ჯგუფ-ჯგუფათ ცალკე იკრიბებოდენ,
ანაღელვები
(უფრო ძველები)
თავმჯდომარეს არ ეთანხმებოდენ.
და ასე, ვაჭრებს
დიდ ნაღირღაცებს

გაკვირვებული ვუცქერდი ვჭვრეტდი,
ვხედავდი მუშტებს,
მსხვილ შენაკუმშებს
და, კარებისკენ მე მოვიწევდი!
გამოველ გარეთ
(მეტათ მწუხარეთ) —
გზაზე-კი ისევ მათზე ვფიქრობდი,
ჯიღების აჩრდილს
ჩემკენ გამოწვდილს
კარგა ხანს ველარ განვშორებოდი!..

ალბურიონი.

მრეწველი

ვოდევილი I მოქმედებ. თ.

(ვუძღვნი ჭიათურის სეზონს, ანუ გამქცევ მრეწველებს)

მოქმედნი პირნი:

ევტიხი ბითურიშვილი მრეწველი	32	წ.
ესიკელა მისი მოსამსახურე	22	„
გოჯასპირ გაქლექილაძე, მიწის მეპატრონე .	50	„
კესარია, გოჯასპირის რძალი, ქვრივი . . .	42	„
შტეიგერი	45	„
კანტრალიორი — შავი ქვის .	36	„
მწონელი — შავი ქვის .	33	„
აბდულა თათარი, მეფურნე	34	„

მეურმეები სხვა და სხვა ხნოვანების.

მოქმედება სწარმოებს დ. ჭიათურაში წარსულ წლებში. სცენა წარმოადგენს კანტორის ოთახს, რომელსაც აქვს შუა კარები მუშა-მოსამსახურეთა შემოსასვლელათ, მხოლოდ მეორე კარი იხედება, რომელიც მიდის სადარბაზო ოთახში, მაგიდასთან ზის ევტიხი ბითურიშვილი და სთვლემს. მთელი ღამე კარტის ნათამაშებს თვალები ჩავარდნილი და სახე გაფითრებული აქვს. ფარდის ახდის შემდეგ პაუზა. შემოდის კანტრალიორი.

I

ევტიხი და კანტრალიორი.

კანტრალიორი. ევტიხის ვახლავარ!

ევტიხი. გაგიმარჯოს ღმერთმა. სხვა, რავაა საქმე? ის მწონელი ვარგა თუ არა? ხომ იცი მე გამოცდილი მწონელი თუ არ მეყოლა ხელს არ მომცემს.

კანტრალიორი. (ცბიერად) მწონელი მე და შენ რომ ვიცით სწორეთ ისეთია. ას ფუთში რომ ოცი არ აჰკრას ის დღე მას დღეთ არ მიაჩნია.

ევტიხი. (ღიმილით) ყოჩაღ! ასში ოცი, ეგ კარგ ანგარიშს იზამს.

კანტრალიორი. გამოცდილი კი არა ნაღდი გამოსუქინსინებულია, ვერც საჩხერელი ჩარჩი აჰკრავს არშინში იმდენს, რასაც ის საწორში. მგონია ქვიტირში ხაზურძაკი არ მოსულა იმდენი, რაც მაგას პროტოკოლი აქვს შეყენებული ამ ბაცაცობის სათვის. კვირაში ორი-სამი პროტოკოლი უეჭველი იყო უწინდელი ხაზეინის ხელში. ახლაც იმ საქმეზე, მგონი ორნოცდაათი პაევსტკა აქვს მოსრული: ზოგი მიროი სუდიდან და ზოგი ოკრუჟნიდან. ყველა პრატაკოლმა გასჭრას, მგონია კანონიც აღარ დარჩეს მაგის დასასჯელი!

ევტიხი. ოჰო, შენ პირს შაქარი, რეკამენდაცია გვარიანია. ნაღდი საჩემო ყოფილა. ფრთხილათ კი იყავით, რომ კანტორის სახელი არ გეილანძღოს, თვარა არც ის ვარგა. ეცადეთ „სავეტიკანტროლებმა“ ოქმი არ შეგვიყენოს.

კანტრალიორი. შეაყენონ, მერე რა! საქმე იმაშია სუდში ვინ გეიმარჯვებს, თვარა წერას რა ჰკუა აქვს. დედიმისიშვილია და ერთი მეურმე იტყვის, რომ მწონელმა მოგვპარაო. მერე სად მიდიან! ოქროს საქონელი რომ ჩამაიტანონ, მაინც დაუბრაკავ. იმათი სული ჩემ ხელშია. სუდში იტყვიან: „სკიდკას ვაძლევთო“ მორჩა და გათავდა. მერე იმ მეურმების აპეკუნებმა გალესონ შაბ-წყალში ის პროტოკოლები და ეიწეპონ თვალზე.

ევტიხი. შენი იმედი კი მაქვს, მაგრამ მაინც ფრთხილად უნდა იყვეთ...

კანტრალიორი. (აწყვეტინებს ლაპარაკს) ბატონო, მაგ საქმე მე მომანდე. შენ რასა სჩივი და რისთვისა ჰღელდები! პასუხს არაფერში გაგაგებიებ, უფულოთ და უშრომლათ ზედმეტ საქონელს ჩაგაბარებ, მხოლოდ (სიცილით) ხომ იცი ხელი ხელსა ჰბანს.

ევტიხი. აბა ეგენი რათ გინდა ჩემთან! დაჰბანს ჰპა არა! რასაკურველია შრომისთვის საშრომს ყველა ეძებს. (შემოდის მწონელი).

II

იგინივე და მწონელი.

კანტრალიორი. აგერ მწონელიც მევიდა.

მწონელი. გამარჯვებათ თქვენი! რაშია საქმე, რაცხა ხმამაღლა ლაპარაკობდით?

კანტრალიორი არაფერი, რაცხა პროტოკოლების შეშინებია ხაზეინს. ვაიმედებ არაფერი იქნება თქვა, მარა არ მიჯერის.

მწონელი. (იცინის) ნიჩევო, ეს პუსტიაკი საქმეა. ისე გავასოსიალო „სავეტის კანტროლები", რომ თავბედისა ვერა გეიგონ რა, არ შეგეპამოთ ჭირმა, რომ ისინი წონის დროს მე ვერ მომეპარონ, და რომც მომეპარონ, მინუთში გადავასწორებ დაწერილ ფუთობას. კარანდაშით არ იწერება შე კაცო! მე შენ გითხრა შნუროვანი ყნილაა კანტროლნი პალატის ბეჭდით, რომ ვერაფერი გავბედო. ეს ნუმერი თუ არ გამივა, სხვა ოინებიც ბევრი ვიცი. თქვენ არხეინად ბძანდებოდეთ. Эта ми знаимъ свои дѣла.

კანტრალიორი. Канишна знаимъ! მწონელს გააჯავრებენ, მე სად წამივლენ. ყოველ ურემს დაუბრაკამ. არ მომცემენ სკიდკას და სად წავლიან! ეს საქმე ჩვენ კისერზე იყოს, ბატონო და ჩვენ მოვაჭახრაკებთ.

ეგტიხი. თქვენს კისერზე იქნება, მარა ყოველ შემთხვევაში მარჯვეთ უნდა იყოთ, რომ არევინ წამოგეპაროთ.

მწონელი. (ევტიხის) მის ჯავრი ნუ გაქვს, ბატონო. Ничево не будитъ до сами смерти. (კანტრალიორი და მწონელი მიდიან).

ეგტიხი. (მიაძახებს მწონელს) პაჟალუსტა, თუ ბევრი ვერ მოახერხო, გირვანქობას მაინც ნუ დოუწერ. И то деньги, ისიც ანგარიშს იზამს.

მწონელი. (კარებში) გელაპარაკებით, გირვანქა კი არა ეს ულაში კატის ბანალი იყოს, თუ ცხენზე ხუთი და ურემზე ათი ფუთი მაინც არ ავკრა. (ორივენი გადიან. მწონელი კანტრალიორს) მაგრამ ის უ... თ... ხა... რი...

კანტრალიორი. მის ჯავრი ნუ გაქვს, უთხარი. Разумеица грѣхъ папаламъ. შენ აპამე ურემზე ოცი ფუთი.

ეგტიხი. (მარტო გაივლ-გამოივლის. შენიშნავს სტოლზე წერილს) ეს რა წერილია! (დააკვირდება წერილის ბეჭედს) ბიჭოს! ეს ორი კვირის გამოგზავნილია და რატომ აქამდის ვერ შევნიშნე! აბა ვნახოთ ეისგანაა. (ხსნის და კითხულობს).

ჩემო ევტიხი!

წარსულს თავი დავანებოთ, რაც იყო, იყო. ეხლა ცოტა გროშებს მოუფრთხილდი, თორემ მე მეტი მოთმენა აღარ შემიძლიან. მე იმისთვის გამოგყევი შენ, რომ უნდა მარჩინო როგორც რიგი და წესია. მე აწი არ დავიკლებ: არც საჭმელს, არც სასმელს, არც ჩასაცმელს და არც დასახურს აბა, შენ თითონ იფიქრე, რა ჭკუაა მე ყველაფერი მოვითმინო და შენ კი რაც იშოვო და იპოვო ყველა კარტში წააგო. იკოდე მე ამ ცოტა ხანში მანდ გავჩნდები და თუ შენ კიდევ თავი არ დაგინებებია კარტისათვის, მაშინ ჩვენი ცხოვრება მოუხერხებელი იქნება და უკაცრავად, მე თუ შენი ოჯახი მივატიო და სხვა მოვნახო. იქნება შენ ეს უკანასკნელი სიტყვები ძალიანაც გესიამოვნოს, მაგრამ მე ისე არ მივატიებ შენს ოჯახს, რომ კვალი არ დავაჩინო. თუ ქალი ვარ ერთ ღერ ბანალს არ დავტიებ შენს თავზე. ნახვამდის, შენი ცუცუნია.

(ევტიხი ჩაფიქრდება და ნაღვლიანად). ეს ღა მაკლდა! წუხელ მთელი ღამე გავათენე. ორასი მანეთი ისე წავაგე, რომ პაპიროზის ფულიც აღარ დამჩენია, ზედაც ასეთი წერილი! რა ვქნა, რომ აღარ ვაცი! გაგშორდებიო იწერება. წავიდეს ვინ შერცხვენილი რამეს იტყვის, რომ ამისთანა კაპასი დედაკაცი მომცილდებოდეს, მაგრამ მეზობლებს რა უთხრა, ამხანაგებს, ნიცნობებს! ცოლი ვერ არჩინა და გაექცაო რომ სთქვან სადღა გამოვყო თავი, ვის შევხედო თვალში! (ეძახის ესიკელას).

III

ევტიხი და ესიკელა.

ეგტიხი. ესიკელა, ესიკელა!

ესიკელა. (შემოდის) რას მიბძანებთ, ბატონო!

ეგტიხი. (ესიკელას) პაპიროსი გექნება თუ კაცი ხარ და დამალევინე.

ესიკელა. (განზე) ვაიმე, ნამდვილათ წოუგია წუხელის! (ევტიხის) კი ბატონო, მიირთვი და მაგრათ მოქაჩე, იქნება ცოტა დარდები გადააყოლო.

ეგტიხი. რის დარდები, ბიჭო, რას ამბობ!

ესიკელა. წუხანდელი წაგების, ბატონო!

ეგტიხი. რა იცი შენ?

ესიკელა. იმე. რავა არ ვიცი! მისდღემჩი არ მოგიგია და მანდამაინც წუხელის მეიგებდი თუ! (განზე) ბლახის დღეობა თუ იყო შეიძლება მეიგე.

ევტიხი. ეს წერილი როდის მევიდა, ესიკელა?

ესიკელა. მაგი ორი კვირეა მოსრულია.

ევტიხი. მერე, რატომ აქამდის არ მითხარი!

ესიკელა. გვერდში თუ დაგიჯდები თამაშის დროს ტრახტირში, თვარა სხვაგან სად გნახავს კაცი. ორი დღეა დაგეძებენ: მიწის მეპატრონე, მეპურე, შტეიგერი, მეურმეები და ჯანაბა იგენის თავს. ყოველ მინუთში გკითხულობენ.

ევტიხი. რეიზა მკითხულობენ ბიჭო, რა უნდათ?

ესიკელა. რა უნდათ და ფული, ბატონო! აბა ჩემ სავიზიტოთ კი არ მოდიან.

ევტიხი. ესიკელა, თუ კაცი ხარ ვინც მევიდეს უთხარი სახლში არაა თქვა, გესმის? ჯერე მაინც დილაა. წავალ კანტორაში, ფულს ევიღებ და საღამოსთვის დეიბარე ყველა. საღამოს უსიკვდილოთ გაუსწორდები ყველას. აბა, მე მივდივარ, გესმის!

ესიკელა. კი ბატონო, გევიგე მარა ფული რომ ეიღოთ ახალ გასართობისკენ არ გოუხვიოთ თვარა მე დამახრჩობს ის ხალხი. მერე გოჯასპირს ვინ გადურჩება ცოცხალი!

ევტიხი. აბა რას ამბობ, ესიკელა! ის ფული მუშებისაა და უნდა დროზე დოურიგო, ხელს როგორ ვახლებ! (წისვლას აპირებს, მაგრამ ამ დროს შემოდის მეპურე თათარი, რომელსაც ანგარიშის ფურცელი უჭირავს ხელში, ქუდს მოიხდის და სალამს აძლევს).

IV

იგინივე და ბდული.

აბდული. (ევტიხის) სალამ ალექუმ აღა!

ევტიხი. გაგიმარჯოს! რას გვიბძანებ, აბდულ ეფენდი?

აბდული აღა, ზოტა პურის გროშებია და იმიტომ მოველი.

ევტიხი. კარგი, კარგი და საღამოზე უსათუოთ მოგცემ.

აბდული. დღუილი ხომ არ ილაპარაკა, ხაზეინ?

ესიკელა. იმე! ტყუილი აბდულა ხომ არ არის! (გვერდზედ) აბა, რავა იკადრებს!

აბდული. (ესიკელას) ბიჭო, შენი რა საქმეა! ზადი იქით. (ევტიხის) ვალლა ზალიან მინდა ფული.

ესიკელა, იფ, იფ, იფ... ფული, რავა მე კისერზე დამადგება თუ?

აბდული. ბიჭო, მაისა და, ფიე!!!

ევტიხი. ნუ გეშინიან. აბდულ, საღამოს მოდი და მოგცემ (მიდის).

აბდული. (ესიკელას) ბიჭო, შენ რა მასხარა გააკეთა! ოქსი თვე მაგის მეურმე ჩემთან პური ჭამია, ერთი კაპეიკი არ მოგსემს და შენ ჩემთან მასხარა გააკეთა?!

ესიკელა. ნუ გეშინიან, აბდულ, დღეს ეიღებს ფულს და უეჭველათ მოგცემს საღამოზე. (განზე) ისე აშენდ> შენი კერია, იმან შენ ფულზე დაგასუნიოს.

აბდული. (ესიკელას) ესიქელა! როდის შენი ხაზეინი ფული მოიტანა, შენ ჩემთან უთხარი, ბილურსან! ბირ იახში ხაჭაპურ ფეშქეშ ვერირამ. ვალლა სულ კორსხი გადაგასხამ თავზე.

ესიკელა (ხელსა ჰკრავს). პაშოლ, ჩორტ! შენ ყველას გადაასხი, ეშაკ! ერთი ხაჭაპურიზა გადაგ- ყვები მამა გეცხონდება! დურაკ!

აბდული (გაჯავრებული). ბიჭო, შენ ვის გალანზღეა? ეშაკი შენა ვარ და დურაკი შენა ვარ. ქართანქალა ქოფოიოღლი!

ესიკელა. პაშოლ, პაშოლ, დურაკ! (ხელსა ჰკრავს და გააგდებს).

V

ესიკელა მარტო.

ესიკელა (დადის). უყურე ამ დონღუზს, რა მითხრა? თავზე გადაგასხამო! ე, ასეთ დურაქებს ალანძღვიებს თავს ჩემი ხაზეინი და მეც შიგ მატანიებს. მაინც და რა უბედურ დღეზეა გაჩენილი ეს ჩემი ხაზეინი! ვიცი ახლა ეიღებს ფულს თუ არა, მაშინვე წააგებს. ეს დასაქცევი ჭიათურა ხომ თელათ სავსეა ტრახტირებით. ერთი უბრალო საყდარი ვერ ოუშენებიენ, რომ კაცმა პირჯვარი დეიწეროს, ან კვდარი მეიხსენიოს და ან ცოცხალი! კარტის და ნარდის სათამაშო იცოცხლე აქანე ბჟირივით იყოს! აგერ ახლა გოუხსნია კიდევ ტრახტირი ვინცხა ბუჭაიჩიაო და სულ ღვლეტ-ღვლეჭათ აძრობს ტყავს, ვისაც კი წეეწევა. მერე რა ოქარგული ენა აქ იმ შეჩვენებულს! ყველას ზდილობიანათ უძახის: „პაჟალტე სუდა მიხაილიჩ, პავლოიჩ, ალექსანდრიჩ, ნიკოლაიჩ, მობრძანდით გაერთეთ. გული გადააყოლეთ? გუშინეც ქე დამიპირა ქერქის შეძრობა, მარა ვერა! ბევრი მეძახა: „ესიკელა ზალიკიჩ, პაჟალიტე სუდაო“. მარა რომ

შევჯედი ჯორზე, შევჯედი. ახლა ვიცი ყალაურათ უდგიან ჩემ ხაზეინს და რავაც გამეიარს უეჭველათ შეირთევენ არ უნდა ამას ლაპარაკი. (ისმის კარის რახუნი) ეე, დაიწყებენ ახლა ფულიზა სიარულს. მეც დავჯდები მედიცინსკი დოხტურივით და თითო-თითოს მივიღებ. (კარს გააღებს. შემოდის გოჯასპირ გაქლექილაჰე).

VI

ესიკელა და გოჯასპირი.

გოჯასპირი. გამარჯობა შენი.

ესიკელა. ღმერთმა გადღეგძელოს. რაზე გარჯილხართ, ბატონო?

გოჯასპირი. ევტიხია ბითურიშვილი აქა სცხოვრობს?

ესიკელა. კი, ბატონო, აქ გახლავს.

გოჯასპირი. შენ იმასთან ხარ სამსახურში გეტყობა.

ესიკელა. კი, ბატონო, თქვენ ვინ ბრძანდებით?

გოჯასპირი. მე გახლავართ აზნაური, გოჯასპირ გაქლექილაძე.

ესიკელა (განზე). გეტყობა რომ გაქლექილაძე ხარ ისტე იპუწკები რაცხას. (გოჯასპირს) ისემც კაი დაგემართოს. მერე და რისთვის გარჯილხართ, ბატონო?

გოჯასპირი (დაჯდება). ბოშო, იმ შენმა ხაზეინმა ეს ტუნელი რომ თელათ გამოხიკა, რვა არენდის ფულს მოცემა არ უნდა?

ესიკელა. კი, ბატონო, აგერ ახლა წევიდა ფულის ასაღებათ კანტორაში და საღამოს მოგვართმევთ. (განზედ) მანამდის არაფერი ჭამა შენმა გვარმა, სანამ იმან შენ ფული არ მოგცეს. (გოჯასპირს) მერე, ბატონო, რა გაჩქარებთ მაგ ფულის აღება. მაგ არენდის ფულზე ხომ არ იქნებით შეჩერებული.

გოჯასპირი. ისტე შენ გასძელი, რავარც ჩემი ოჯახი საფსე იყოს ყორისფელი სიკეთით: ჭადით, ღვინით, ქათმით, ცხვარით, ღორით და ხარით. ორასი ცხენოსანი რომ მოვიდეს ჩემსას მეზობლისას ტყვილა არ გევიხედავ არაფრიზა, მარა შე დალოცვილო, მეტი სიმდიდრე ვის გოდოუყრია!

ესიკელა. ამდენი კი გაქვთ, ბატონო?

გოჯასპირი. შენ ნუ მომიკვდები.

ესიკელა. მე რას მიფიცავთ, ბატონო, შინაურები დაიფიცეთ.

გოჯასპირი (ნაწყენი წამოვარდება). რავა, მე ვმასხარაობ გგონია თუ?! ან და შენი ტოლი გგონივარ იქნება!

ესიკელა. ვიცი, ბატონო და იმაზა მოგახსენებთ, რომ მე არა ვარ თქვენი ტოლი და ღირსი რომე მე დამიფიცოთ. ისტევლე თქვენი ტოლი კაცი თუ გახდება თქვენი ფიცის ღირსი, თვარა მე საწყალ ესიკელას ვინ მომასწრეს იმ ბედნიერებას. რა ფასში ხართ გარიგებული, ბატონო? ბევრი მართებს ჩემს ხაზეინს?

გოჯასპირი. ბოშო, ჯერ ღვინწკი კაპეიკი არ ვიცი მისგან. სამჩეთში ქე გოურიგდი, მარა ფული სადაა! საქმე გააწყო, მუშაობა დაიწყო და მერე რამ ჩაყლაპა კაცი არ ვიცი. ნეტავ თვალით დავინახავდე მეტი არაფერი მინდა. იქნება ქე იცოდე, ბოშო, სადაა!

ესიკელა. იმე, რავა არ ვიცი, ბატონო! კანტორაში წევიდა ფულიზა.

გოჯასპირი. ისევც კაი დაგემართოს, აპა, თუ მე ვერ ვნახე იქანა, შენ უთხარი, რომე გოჯასპირი იყო თქვა და საღამოს შემოვიარ. (გადის).

ესიკელა. კი, ბატონო, მობძანდით. მოდი თვარა ჩეილაგებ გატკიცინებულ ასიანებს. ფართე ჯიბე დაიკერე, ფართე. დედა, რავალი პრტყელი ტყუილები დაიწყო! დაგიფაროს ღმერთმა ზემოურ აზნაურიშვილთან დალაპარაკება. რომ დეიწყებს უნდა უტირ, თვარა აგიყვანს ჰაერში. (შემოდის კანტრალიორი).

VII

ესიკელა და კანტრალიორი

კანტრალიორი. ესიკელა, ევტიხი არ მოსულა?

ესიკელა. ოჰ, ბეკო ივანიჩ! მობრძანდით, მობრძანდით.

კანტრალიორი. არ მცალიან, ევტიხს დავეძებ.

ესიკელა (ძალათ შემოჰყავს). მობძანდი, ბეკო ივანიჩ, დედა ნუ მოგიკვდება.

კანტრალიორი. რა იყო, კაცო, რაშია საქმე?

ესიკელა (სიცილით). ის შემოდგომის აზნაურიშვილი არ შეგხვედრია?

კანტრალიორი. კი, კი, აგერ მილაყუნებდა. მარა დავემალე.

ესიკელა. რეიზა, კაცო, ახალ ამბავს გეტყოდა.

კანტრალიორი. დამანებე, ბიძია, თავი მე მის ტრაბახს ვერ გაუძლებ. მაგან თუ დაიწყო თავის ქება, ბერეგის! ას თავიანი ბერის ზღაპარივით სამ დღეს ვერ გაათავებს.

ესიკელა. შენ წახან უნდა გეყურებია, ბეკო ივანიჩ, აქანა რომ დეიწყო. დედა, რავა დაპენტა ტყუილები! „ორასი ცხენოსანი რომ მესტუმროს, მეზობლისას არ გევიხედავო“. ორასი ცხენოსანი კი არა, სამი კუდმოცქვლეფილი თაგვი ვერ გაძლება მის ბარობაზე. კაცო, რამდენჯერ გამაგზანა ხაზეინმა მაგასთან, მარა მაგ გამოჩერჩეტებული მაინც ვერ მცნობილობს და მეც საცხა შევხვდები შორიდგან ვკითხულობ, მითომ ვერ ვიცნობ. რომ გააგძელებს ენას და გააპტყელებს სიტყვებს: „იმე, ყმაწვილო, ჩემისთანა ოჯახიშვილი მთელ ზემო იმერეთში არ მეინახება. კი, კი, შენ ნუ მოუკვდები ჩემ თავს“. ახლა, ბეკო ივანიჩ, გითხრა რავალი ოჯახიშვილია.

კანტრალიორი. მეიცა, ესიკელა, მაგიზა არ მცალიან. ევტიხი უნდა მოვნახო, თვარა ფულს ეიღებს კანტორაში და მერე ვინ იცის საით უკრავს თავს!

ესიკელა. მეიცა, მეიცა ბეკო ივანიჩ! ამ ერთი კვირის წინეთ ხაზეინმა გამგზავნა გოჯასპირთან და გზაში გაწვიმდა, რომ დაუახლოვდი მის სახლს, რაცხა ფორთოფინოს ხმა შემომესმა. რაღმე გადვირიე კაცი ისე გამიკვირდა, ვინ გოჯასპირი და ვინ ფორტოპიანო თქვა ვიფიქრე. შევაღე კარები და მისთანა ფორტოპიანო შენს ტერ მისცეს, რავარც გოჯასპირს იქინე ედგა! გარეთ კიდო მშრალი იყო, ვინემ მის სახლი? ერთი ოთხმოცდა ჩვიდმეტ ადგილას კი ჩამოდიოდა წვიმა. დეეკაპიწებია ამ ჩვენ გოჯასპირს და ზოგან გობი შეედგა, ზოგან ტაშტი, ზოგან დოქი, ზოგან როდინი, ზოგან ჯამი და ეს წვიმა რომ ეცემოდა გობზე, ტაშტზე, დოქში, როდინში და ჯამზე, ისტე აწყობილი ხმა გამოდიოდა რომე გარედან მე ფორტოპიანო მეგონა. აქანე მეტრაბახება: „ორას ცხენიანს დაუხვდებიო, ხარით, ძროხით საფსეა ჩემი ოჯახიო“. ხარით და ძროხით რა მოგახსენო და კეტეტელებით კი თელათ გაქედილია იქაურობა.

კანტრალიორი (მადის და სიცილით ესიკელას). თუ გაგიგონა გოჯასპირმა შენ კი დაგასვავს კეტეტელებს. შენ, ჩემო ბიძია, ნუ ეხუმრები იმას, თვარა ძნელი აზნაურიშვილია.

ესიკელა. იმე, იმ ძღინკიანის თუ შემეშინდა კიდო და არ ყოფილა საშველი. რას მიზამს, რას

კანტრალიორი. რას და ის ხანჯალი რომ ჰკიდია გატენილია, ბიძია, გატენილი! (სიცილი) მშვიდობით, მშვიდობით! (გადის).

VIII

ესიკელა და კესარია.

ესიკელა. გატენილი თვარა პრასი არ წამაჭრას ყურებზე. გადმოვაბრუნებ და რაც სიგძე აქვს, იმ სიგანეს მივცემ ისტე იცოცხლოს ესიკელამ. (შემოდის კესარია).

კესარია (ესიკელას). ბოშო, გოჯასპირი იყო აქანე?

ესიკელა. კი, ბატონო, გახლდათ.

კესარია. რათ იყო, მერე?

ესიკელა. რაცხა არენდის ფულს თხოულობდა.

კესარია. სად წევიდა მერე?

ესიკელა. რა ვიცი დასწყევლოს მისი სახსენებელი.

კესარია. სად წავიდა თქვა! მართალი მითხარი, თვარა...

ესიკელა (აწყვეტინებს). იმე, ძალიან დამემუქრე თვარა ქუხნა სახლთან რომ ბჟოლა მიდგია, იგი არ მომითხარო!

კესარია (შეუტევს). სად წევიდა? მართალი მითხარი, თვარა გიტირებ ყოფას!

ესიკელა. იმე, კანტორაში წევიდა, ბატონო, კანტორაში!

კესარია. რეიზა წევიდა, რეიზა?

ესიკელა. ფულიზა წევიდა, ბატონო, ხაზეინს ეძებს! (განზე) ბიჭო, ეს რა ჭირს გადავეკიდე!

კესარია. (მიდის და კარებში). გესმის? შენ ხაზეინს უთხარი, რომ იმ გოჯასპირს არაფერი მისცე', თვარა ვერც ერთი ვერ მომრჩებით ცოცხალი!

ესიკელა (გაკვირვებული). ი, ი!

(დასასრული იქნება).

გოგია.

წინეთ და ახლა.

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში სთელავდა რუსეთს უპასუხისმგებლო, უტიფარი, მძვინვარე და მტარვალი რეჟიმი თვითმპყრობელობისა. ახრჩობდა, ხვრეტდა, აპატიმრებდა და ციმბირში ასახლებდა ის ხალხს. უმანკო სისხლით რწყავდა რუსეთის ვრცელ მიდამოს...



დღეს კი...

რედაქტორი ეშმაკი. სტამბა ვ. რუხაძისა, გაბაევის შესახვ. № 1.